ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და ინფორმაცია კლიენტებისთვის

გოეთეს ინსტიტუტი, რეგისტრირებული საზოგადოება, ოსკარ-ფონ-მილერ-რინგ 18, 80333 მიუნხენი, გერმანია ("გოეთეს ინსტიტუტი რს" ან "ჩვენ") კურსებისათვის, გამოცდებისათვის და შესყიდვებისათვის

შეტყობინება: უკეთესი კითხვადობისთვის, ენის გენდერულ-სპეციფიკური ფორმების ერთდროული გამოყენება გამორიცხულია. ყველა პირადი აღნიშვნა ეხება ყველა სქესს.

შინაარსი

შინაარსი 1

1. მოქმედების სფერო 3

2. ხელშეკრულების გაფორმება 3

   a. *ხელშეკრულების გაფორმება ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე* 3

   b. *ხელშეკრულების გაფორმება ჩვენი ინტერნეტ-გვერდის გამოუყენებლად* 3

      (1) *ხელშეკრულების გაფორმება ფაქსით ან საფოსტო გზით* 4

      (2) *ხელშეკრულების გაფორმება ელექტრონული ფოსტით* 4

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლის პირობები 4

4. ფასები 5

5. გადახდა 5

6. კურსებსა და გამოცდებზე მონაწილეობის მიღების განსაკუთრებული პირობები 5

   a. *საკურსო ჯგუფები* 5

   b. *დაჯავშნილი კურსების და გამოცდების შეცვლა ან დაჯავშნის გაუქმება* 6

   c. *ვადები და გადახდა* 7

   d. *მომსახურების მოცულობა* 7

e. ბინა დასწრებული კურსების სრულწლოვანი მონაწილეებისათვის (გერმანიის რეგიონი) 8
f. კურსის და გამოცდის მონაწილის ვალდებულებები 8
g. საავტორო უფლება 9
h. გაუქმება 9
(1) დასწრებითი კურსები 9
(2) ბავშვის კეთილდღეობის საფრთხე ბავშვთა და მოზარდთა კურსებზე 10
(3) ქცევის ნორმების დარღვევა 10
i. უფლების შენარჩუნება ცვლილებას საგანგებო ვითარებების ან მოვლენების შემთხვევაში 10
7. საქონლის შეძენის განსაკუთრებული პირობები 10
a. მიწოდების პირობები 10
b. საკუთრების უფლება 11
c. ტრანსპორტირებით გამოწვეული ზიანი 11
8. სპეციალური პირობები ციფრული პროდუქტებისთვის 11
a. გამოყენების უფლებები და საავტორო უფლებები 11
b. პროდუქტის აღწერილობანი 11
c. ციფრული საქონლის ცვლილება სამომხმარებლო ხელშეკრულებებში 11
9. შეკვეთის გაუქმების უფლება 12
10. გარანტია 12
11. პასუხისმგებლობა საკუთარ შინაარსზე 12
12. პასუხისმგებლობის შეზღუდვა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება 12
a. პასუხისმგებლობის შეზღუდვა 12
b. ზიანის ანაზღაურება 13
13. უთანხმოების მოგვარება 13
შეკვეთის გაუქმების უფლება და ფორმულარები 14
a. კურსებისთვის, გამოცდებისთვის და სხვა სერვისებისთვის. 14
b. საქონლის შეძენისას 16

1. მოქმედების სფერო

შემდეგი ზოგადი წესები და პირობები („ზწპ") ვრცელდება ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე გოეთეს ინსტიტუტსა და მომხმარებლებსა თუ მეწარმეებს შორის („კლიენტები", „კურსის მონაწილეები", „გამოცდის მონაწილეები" ან „თქვენ"), რომლებიც უკვეთავენ ფასიან მომსახურებას გოეთეს ინსტიტუტს (კურსების, გამოცდების და სხვა სერვისების და ჯავშნა და საქონლის შეძენა) ვებგვერდის goethe.de მეშვეობით. [გამოყენების პირობები](#) ვრცელდება საიტზე goethe.de უფასო მომსახურებების გამოყენებაზე.. თუ დწესებულება იყენებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების საპირისპირო ან დამატებით პირობებს, მათი ქმედითუნარიანობა წინამდებარე აქტით შეჩერებულია; ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ნაწილი, თუ ჩვენ მას ოფიციალურად დავეთანხმებით.

2. ხელშეკრულების გაფორმება

a. ხელშეკრულების გაფორმება ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული მომსახურება (კურსები, გამოცდები და სხვა საქონელი) არის ჩვენი სავალდებულო ძალის მქონე შეთავაზება ამ მომსახურებაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად. თქვენ შეგიძლიათ ჩვენი შეთავაზებები ყოველგვარი ვალებულების გარეშე განათავსოთ შესყიდვების კალათაში, ოფიციალურად შეკვეთის წინ ყოველთვის შესაძლებელია მათი შესწორება, ამისათვის უნდა გამოიყენოთ შეკვეთის მიმდინარეობისათვის გათვალისწინებული და განმარტებული დახმარება შესწორებისათვის. ხელშეკრულება ფორმდება, როდესაც თქვენ შეკვეთის ღილაკზე ხელის დაჭერით შესყიდვების კალათაში არსებული პროდუქტების შესყიდვებს დაადასტურებთ. შეკვეთის გაგზავნისთანავე თქვენ იღებთ შეკვეთის დადასტურებას ელექტრონული ფოსტით.

ხელშეკრულების გაფორმება ხდება შემდეგ ენებზე

- გერმანიასა და ავსტრიაში კურსებისა და გამოცდებისთვის: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური (ბრაზილია), რუსული, თურქული, ჩინური
- სხვა ქვეყნების გოეთეს ინსტიტუტში კურსებისა და გამოცდებისთვის: გერმანული და შესაბამისი ქვეყნის ენა
- მასწავლებელთა მომზადების კურსები: გერმანული

ჩვენ ვიმახსოვრებთ ხელშეკრულების ტექსტს და გიგზავნით თქვენი შეკვეთის მონაცემებს და ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს (ხსპ) ელექტრონული ფოსტით. ხელშეკრულების ტექსტი უსაფრთხოების მიზნით ინტერნეტში არ ინახება.

b. ხელშეკრულების გაფორმება ჩვენი ინტერნეტ-გვერდის გამოუყენებლად

ჩვენს კურსებზე და გამოცდებზე ასევე შეგიძლიათ ჩაეწეროთ სარეგისტრაციო განაცხადით. სარეგისტრაციო განაცხადი შეიძლება მიიღოთ დგილობრივ გოეთეს-ინსტიტუტში ან ინტერნეტის საშუალებით. თუ ჩაწერის რა

კონკრეტული საშუალება გაგაჩნიათ, ამას შეიტყობთ სარეგისტრაციო ფორმულარითან ინტერნეტში განთავსებულ პროდუქტის აღწერილობაში.

(1) ხელშეკრულების გაფორმება ფაქსითან საფოსტო გზით

თუ არსებობს ამის შესაძლებლობა, შევსებული სარეგისტრაციო განაცხადი შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ფაქსითან ფოსტით განაცხადზე მითითებული მიმღების მისამართზე.

მასწავლებელთა მომზადების კურსები

გოეთეს ინსტიტუტი. კურსებისა და გამოცდების უკვე დადგენილი თარიღები, ასევე განცხადებების მიღების ვადები შეგიძლიათ იხილოთ სარეგისტრაციო ბლანკებზე ან პროდუქტის აღწერილობაში ინტერნეტში. საკმარისი ადგილების არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ის განცხადებები, რომლებიც ფორმის და ვადების დაცვით შემოვა. ამისათვის, როგორც წესი, გადამწყვეტია განცხადებების შემოსვლის თარიღების თანმიმდევრობა.

ჩარიცხვის გადაწყვეტილებას შეგატყობინებთ წერილობით თქვენი განცხადების შემოსვლიდან ხუთი დღის განმავლობაში. კურსზე ან გამოცდაზე დაშვების უფლება გენიჭებათ მხოლოდ წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში. უარის შემთხვევაში მონაწილეობის მსურველები დაუყოვნებლივ იღებენ წერილობით შეტყობინებას.

(2) ხელშეკრულების გაფორმება ელექტრონული ფოსტით

თუ არსებობს ამის შესაძლებლობა, შევსებული სარეგისტრაციო განაცხადი შეგიძლიათ გააგზავნოთ ფაქსითან ფოსტით განაცხადზე მითითებული მიმღების მისამართზე.

შევსებული განაცხადის გაგზავნით თქვენ იძლევით იურიდიულსავალდებულო თანხმობას ამ პროდუქტზე ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. ჩარიცხვის გადაწყვეტილებას შეგატყობინებთ წერილობით თქვენი განცხადების შემოსვლიდან ხუთი დღის განმავლობაში. ჩარიცხვის შემთხვევაში, ხელშეკრულება ავტომატურად შედის ძალაში. კურსზე ან გამოცდაზე დაშვების უფლება გენიჭებათ მხოლოდ წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში. უარის შემთხვევაში მონაწილეობის მსურველები დაუყოვნებლივ იღებენ წერილობით შეტყობინებას.

(1) აბზ. 2 ძალაშია შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლის პირობები

ხელშეკრულება ძალაში შედის იმ პირობით,

- ყველა კურსისათვის: თუ დაჯავშნისას თქვენს მიერ გაკეთებული მონაცემები შეესაბამება ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე მოცემულ წინაპირობებს და თუ თქვენ კურსის დაწყების მომენტში უკვე მიაღწიეთ პროდუქტის აღწერილობაში დასახელებული ასაკის ქვედა ზღვარს.

- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების შემთხვევაში: ვებგვერდზე მითითებულია მისაღები პირობები (კერძოდ, სწავლების საჭირო გამოცდილება).
- ჯგუფური კურსებისათვის და ჯგუფური გამოცდებისათვის: თუ შეგროვდება პროდუქტის აღწერილობაში დადგენილი მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა.
- (ონლაინ) შემავალი ტესტი, თუ ასეთი საჭიროა პროდუქტის აღწერაში (შემდგომი: „შემავალი ტესტი") გარდება დროულად.
- თუ მონაწილე ასრულებს გოეთეს ინსტიტუტის შესაბამის საგამოცდო განაწესის § 3-ში მონაწილეობის მიღებისათვის აუცილებელ პირობებს.
- ბავშვთა და მოზარდთა კურსებზე: თუ რეგისტრაცია მოხდა მხოლოდ კანონიერ უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად და ამისი შესაბამისი წერილობითი განცხადებები ან თანხმობები რეგისტრაციის შემდეგ გადაეგზავნება გოეთეს ინსტიტუტს (მაგალითად ელ. ფოსტით ან ფაქსით). კურსის, შესაბამისად გამოცდის გადასახადი ამ შემთხვევებში დაუბრუნდება გადამხდელს.

4. ფასები

კურსების და გამოცდების ფასები რეგისტრაციის მომენტში შეგიძლიათ ნახოთ ინტერნეტ-გვერდზე.

დასახელებულ **ფასს** შეიძლება საჭიროების შემთხვევაში დაემატოს საფოსტო ხარჯები. საფოსტო ხარჯების ოდენობა შეგიძლიათ ნახოთ პროდუქტის აღწერილობაში.

5. გადახდა

გადახდა შესაძლებელია, არაუგვიანეს დაჯავშნის დაწყებისას ინტერნეტ გვერდზე დასახელებული გადახდის საშუალებით. გადახდის საშუალების ამორჩევა ხდება დაჯავშნისას. გადახდის საშუალების გარკვეული ფორმის გამოყენების პრეროგატივა არარსებობს.

6. კურსებსა და გამოცდებზე მონაწილეობის მიღების განსაკუთრებული პირობები

a. საკურსო ჯგუფები

ცალკეული საკურსო ჯგუფების დაკომპლექტებისას გადამწყვეტია მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა, რომელიც დასახელებულია პროდუქტის აღწერილობაში. კურსის გარკვეულსაფეხურზე ან ჯგუფში ჩარიცხვა ხდება დონის დასადგენი ტესტის საშუალებით, თუ ამას მოითხოვს პროდუქტის აღწერილობა. განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, ენობრივი კურსების ახალკლიენტებს, როგორც წესი, მოეთხოვებათ შემავალი ტესტის გავლა. შემავალი ტესტის არადროულმა ჩაბარებამ შესაძლოა გამოიწვიოს უარი მიღებაზე. დონის დასადგენი ტესტის დამუშავება უნდა დაიწყოს ზუსტად განსაზღვრულ, პროდუქტის აღწერილობაში მოცემულ ვადებში. დამატებითი ინფორმაცია განლაგების საჭირო ტესტებზე და მათი

პროცედურის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შესაბამისი პროდუქტის აღწერილობაში.

ხელშეკრულება ძალაში შედის იმ შემთხვევაში, თუ შეგროვდება მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა, ასევე თუ დროულად იქნება ჩაბარებული, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო დონის დასადგენი ტესტი, იხ. რიცხვი 3 გვერდი 2.

b. დაჯავშნილი კურსების და გამოცდების შეცვლა ან დაჯავშნის გაუქმება

თქვენი კანონიერი გაუქმების უფლების დაურღვევლად გამოიყენება შემდეგი:

კურსების გადაჯავშნა (მაგ., კურსის თარიღის შეცვლა) შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ გოეთეს ინსტიტუტის თანხმობის შემთხვევაში. დაჯავშნის ყოველი შეცვლა, თუ სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს, დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ დაქვითვასთან შემდეგი ოდენობით:

დაჯავშვის შეცვლის ფასები

კურსები გერმანიისა და ავსტრიის ფარგლებს გარეთ	კურსის საფასურის 5%.
კურსები გერმანიასა და ავსტრიაში	გადაჯავშნის საფასური 60 €; გამონაკლისი დასწრებული კურსებისთვის: პირველი გადაჯავშნა უარყოფითი სავიზო გადწყვეტილების გამო, იმ პირობით, თუ მონაწილე წარმოაჩენს შესაბამის მტკიცებულებებს.

დაჯავშნული დასწრებითი გამოცდის შეცვლა, თუ სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს, შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ გოეთეს ინსტიტუტის თანხმობის შემთხვევაში.

კურსის, შესაბამისად გამოცდის მონაწილე უფლებამოსილია გაუქმოს დაჯავშნა ტექსტის ფორმით (წერილობით, ფაქსით ან ელ.ფოსტით) შემდეგ შემთხვევებში:

ფასები დაჯავშნის გაუქმების შემთხვევაში

შეკვეთის გაუქმება	*კურსები გერმანიისა და ავსტრიის ფარგლებს გარეთ*	*კურსები გერმანიასა და ავსტრიაში*	*გამოცდები*
დაწყებამდე 4 კვირით ადრე	კურსის საფასურის 10 %.	160 ევრო	გამოცდის საფასურის 100 %.
დაწყებამდე 1 კვირით ადრე	კურსის საფასურის 20 %.	კურსის საფასურის 30%, მინიმუმ 160 ევრო	გამოცდის საფასურის 100 %.
დაწყებამდე	კურსის	კურსის	გამოცდის

1 დღით ადრე	საფასურის 30 %.	საფასურის 50%, მინიმუმ 160 ევრო	საფასურის 100 %.
დაწყების შემდეგ	კურსის საფასურის 100 %.	კურსის საფასურის 100%.	გამოცდის საფასურის 100 %.

ვადის განსაზღვრა ხდება იმის მიხედვით, თუ როდის შევიდა შეკვეთის გაუქმების განაცხადი გოეთეს ინსტიტუტში.

შეკვეთილსაცხოვრებელზე უარის თქმა მონაწილეს შეუძლია უფასოდ, კურსის დაწყებამდე 4 კვირით ადრე. მოგვიანებით გაუქმება გამორიცხულია. ბინის ქირა - ბინის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც კი - უნდა გადაიხადოთ სრულყოფილად, თუ ჩვენ დაჯავშნული ქირის პერიოდისათვის ვერ ვიპოვით სხვა დამქირავებელს.

კურსის ან გამოცდის მონაწილეს, ყოველი გადავადების ან დაჯავშნის გაუქმების შემთხვევაში, უფლება აქვს დაგვისაბუთოს, რომ ჩვენ ამით ზარალი არ განვიცადეთ, ან რომ განვიცადეთ ნაკლები ზარალი, ვიდრე ჩვენ ვითხოვთ.

ეს ფორმულირება ძალაში რჩება მაშინაც კი, თუ მას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ადგილობრივი ეროვნული კანონმდებლობა.

c. ვადები და გადახდა

შესაბამისი გადასახადი **(კურსის და /ან გამოცდის გადასახადი)** მთლიანად უნდა იქნას დაფარული ანგარიშში აღნიშნულვადაში შესრულების ვადა და გადახდა შერეული სასწავლო პროდუქტები არის პროდუქტები, რომლებიც პროდუქტის აღწერილობის მიხედვით შედგება დასწრებული (კურსები) და ციფრული სწავლის ეტაპებისგან. როგორც ასეთი შერეული სასწავლო პროდუქტები აღინიშნება პროდუქტის აღწერაში.

დისტანციური სწავლების კურსების შესაბამისი საფასური გადაიხდევინება ნაწილებით 3 (სამი) თვის განმავლობაში. პირველი გადახდა ხდება ინვოისის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ. ყველა შემდგომი გადახდა ხდება მე-4, მე-7, მე-10, მე-13, მე-16, მე-19 და 22-ე თვის პირველ რიცხვებში, კურსის თვეების რაოდენობიდან გამომდინარე. კურსის პირველ თვეში ინვოისზე მითითებული გოეთეს ინსტიტუტის ანგარიშზე დასმული თანხა დროული გადახდის გადამწყვეტი ფაქტორია. კურსის მონაწილეს უფლება აქვს ინვოისის მიღების შემდეგ გადაიხადოს ერთი გადახდით კურსის სრული ღირებულება.

საბანკო მომსახურების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება კურსის გადასახადის გადარიცხვისას, უნდა გადაიხადოს კურსის მონაწილემ. გოეთეს ინსტიტუტი საბანკო გადარიცხვისათვის სპეციალურ გადასახადს არ ითხოვს.

კურსი ან გამოცდა არ დაიწყება ან არ გაგრძელდება, თუ შესაბამისი თანხის გადახდის ვადები არ იქნა დაცული. ამ შემთხვევაში გოეთეს ინსტიტუტი უფლებას იტოვებს, რომ კურსის ადგილები სხვა პიროვნებებზე გადაანაწილოს.

d. მომსახურების მოცულობა

საკურსო გადასახადში შედის შესაბამის კურსში მონაწილეობა, კურსის ტიპიდან გამომდინარე, დავალებების

და ტესტის შესწორება და კომენტირება, საგნობრივი მომსახურება, ასევე მონაწილეობის სერტიფიკატების გაცემა.

საგამოცდო გადასახადში ასევე შედის მოწმობის ღირებულება.

უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია (მათ შორის ინფორმაცია კურსის მასალების შესახებ) შეგიძლიათ იხილოთ შესაბამისი პროდუქტების აღწერილობაში.

e. ბინა დასწრებული კურსების სრულწლოვანი მონაწილეებისათვის (გერმანიის რეგიონი)

მოთხოვნის საფუძველზე და ხელმისაწვდომობის მიხედვით, გოეთეს ინსტიტუტი ქირაობს კეთილმოწყობილ საცხოვრებელს შერჩეულ ადგილებში და ჯავშნილი კურსის ხანგრძლივობისთვის ან აწყობს საცხოვრებელს სხვა გამქირავებლებთან. ბინის აღწერილობა შეგიძლიათ ნახოთ ანონსში, წინასწარი დათვალიერება შეუძლებელია.

ბინები ქირავდება მხოლოდ დროებით, კურსის მიმდინარეობის პერიოდში მოხმარებისათვის. ბინაში შესვლის დღე არის ანონსში გამოქვეყნებული ჩამოსვლის დღე, ბინიდან გასვლის დღე არის ანონსში გამოქვეყნებული გამგზავრების დღე. ბინის დაქირავების ხელშეკრულება მთავრდება გამგზავრების დღეს, ისე, რომ მისი გაუქმება საჭიროა არარის. თუ ბინის დამქირავებელი დაქირავებული საგნების მოხმარებას აგრძელებს ქირაობის ვადის დასრულების შემდეგ, ამით ქირაობის ხელშეკრულება არ გრძელდება. კურსის მონაწილის სტუმრების ღამის გათევა შესაძლებელია მხოლოდ გამქირავებლის თანხმობის შემდეგ, რომელიც კურსის მონაწილემ შეიძლება მიიღოს დასაბუთებულ შემთხვევაში.

კურსის მონაწილეს უფლება აქვს ბინა გამოიყენოს მხოლოდ საცხოვრებელი მიზნით საცხოვრებლის განაწესის შესაბამისად. აკრძალულია დაქირავებული ფართის გადაკეთება. კურსის მონაწილე ვალდებულია, წესების შესაბამისად დაასუფთაოს, გაანიავოს და გაათბოს დაქირავებული ფართი და ასევე, ფრთხილად მოეპყროს დაქირავებულ დანადგარებს და მოწყობილობებს. კურსის მონაწილე ვალდებულია, გოეთეს ინსტიტუტს დაუყოვნებლივ აცნობოს დაქირავებულ ფართში, შენობაზე, ასევე შენობასთან და კარმიდამოსთან მიმდებარე აღჭურვილობასა და მოწყობილებზე შემჩნეული ზიანი. ის ასევე ვალდებულია, ეს ზიანი აღკვეთოს საკუთარი სახსრებით, თუ იგი გამოწვეულის მისი პასუხისმგებლობის უგულვებელყოფით, ან თუ ზიანი მიყენებულიქნა რაიმე სხვა გზით და მისი ბრალეულებით.

ქირის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, ან ბინიდან გადასვლის შემდეგ კურსის მონაწილე ვალდებულია, დაქირავებული ფართი დატოვოს სუფთა მდგომარეობაში და მეპატრონეს ჩააბაროს მისთვის გადაცემული ყველა გასაღები.

f. კურსის და გამოცდის მონაწილის ვალდებულებები

დასწრებითი კურსების მონაწილე

- ვალდებულია, თვითონ და საკუთარი ხარჯებით იზრუნონ იმისათვის, რომ მისი იმ ქვეყანაში ყოფნა, სადაც კურსი ტარდება კანონიერია და რომ მას, საჭიროების შემთხვევაში, გააჩნია ქვეყანაში შემოსვლის და აქ გაჩერებისათვის საჭიროვიზა.

- ვალდებულია, თვითონ გაა ფორმონ ავადმყოფობის, უბედური შემთხვევის, პასუხისმგებლობის და საოჯახო ნივთების დაზღვევა.
- ვალდებულია, დაიცვას ინსტიტუტში მოქმედი კურსის და დაწესებულების განაწესი.

დასწრებელი კურსის მონაწილე

- ვალდებულია, რომ თვითონ უზრუნველყოს კურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი, კურსის აღწერილობაში დასახელებული ტექნიკური წინაპირობები.
- ეკრძალება გაასაჯაროოს ან სხვას გადასცეს გოეთეს ინსტიტუტის მიერ გაცემული, სასწავლო ან ტესტის პლატფორმაზე შესავლელი მონაცემები.
- სხვაგვარად უნდა შეასრულოს მომხმარებლის ვალდებულებები (გამოყენების პირობების მე-4 ნაწილი).

გამოცდის მონაწილის ვალდებულებები გამომდინარეობს შესაბამისად მოქმედი საგამოცდო განაწესიდან.

g. საავტორო უფლება

კურსის და გამოცდების მასალები (ტექსტები, სავარჯიშოები, ტესტის კითხვები, პასუხები, პროგრამის კოდები, ვიდეოები და სხვა) დაცულია საავტორო უფლებებით. კურსის მონაწილეს ეძლევა მხოლოდ მასალის გამოყენების უფლება პირადი მოხმარებისათვის, კურსში მონაწილეობის ფარგლებში, მესამე პირისათვის გადაცემის უფლების გარეშე.

კერძოდ, კურსის ან გამოცდის მონაწილეებს განსაკუთრებით ეკრძალებათ საკურსო ან საგამოცდო მასალის, ასევე მისი ნაწილების კოპირება მესამე პირისათვის, მათი გასაჯაროება, ასევე მათი გადაგზავნა, ინტერნეტში ან სხვა ქსელებში განთავსება, გარკვეულ ფასად ან უფასოდ, ასევე მათი გაყიდვა ან კომერციული მიზნებისათვის გამოყენება. აკრძალულია საავტორო უფლებების აღნიშვნების, ნიშნების ან სავაჭრო ნიშნების მოშორება. საავტორო უფლების დარღვევა ისჯება კანონით.

h. გაუქმება

(1) დასწრებითი კურსები

ძალაშია არჩეული კურსის აღწერილობაში მოცემული ვადები.

თქვენი კანონიერი გაუქმების უფლების და ურღვევლად ძალაშია შემდეგი:

თქვენ უფლება გაქვთ გაა უქმოთ ხელშეკრულება, მიზეზის დასახელებლად, ხელშეკრულების დადებიდან პირველი ნახევარი წლის გასვლამდე ექვსი კვირის ვადაში, ხოლო პირველი ნახევარი წლის გასვლის შემდეგ სამი თვის ვადაში. ხელშეუხებელია გოეთეს ინსტიტუტის და კურსის მონაწილის უფლება, გაა უქმოს ხელშეკრულება რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო.

ეს ასევე ეხება (ონლაინ) თვითშემსწავლელ კურსებს.

(2) ბავშვის კეთილდღეობის საფრთხე ბავშვთა და მოზარდთა კურსებზე

გოეთეს ინსტიტუტი უფლებამოსილია, გაუქმოს ხელშეკრულება ვადაზე ადრე, გაუქმების ვადების დაუცველად, თუ სახეზეა ფაქტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ბავშვის ან მოზარდი მონაწილის კეთილდღეობას, რომელთა აღმოფხვრა მოითხოვს ისეთ ინდივიდუალურ მზრუნველობას, რომელიც აღემატება გოეთეს ინსტიტუტის შესაძლებლობას.

გოეთეს ინსტიტუტი პასუხს არაგებს ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეულ ზარალზე, ეს არ ეხება ისეთ შემთხვევებს, თუ ზარალი გამოწვეულია გოეთეს ინსტიტუტის განზრახ ან უხეში დაუდევრობითი საქციელით. ციფრი 10-ის ქვეშ მოყვანილი განმარტებები უცვლელი რჩება.

(3) ქცევის ნორმების დარღვევა

გოეთეს ინსტიტუტი უფლებამოსილია, მონაწილის მძიმე გადაცდომის გამო გაუქმოს ხელშეკრულება ვადების დაუცველად. სერიოზულ გადაცდომად ითვლება მობინგი, ნარკოტიკების მოხმარება, სხვა მონაწილეების მიმართ აგრესიული საქციელი და სექსუალური შევიწროება.

ზემოდაღნიშნულ შემთხვევებში, პუნქტი 6 (h), ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება წერილობითი ფორმით.

ხელშეკრულების შეწყვეტის წინამდებარე განმარტებები ძალაშია მაშინაც კი, თუ მას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ადგილობრივი ეროვნული კანონმდებლობა. ექვემდებარება შეცვლას

i. უფლების შენარჩუნება ცვლილებას საგანგებო ვითარებების ან მოვლენების შემთხვევაში

რთული და განსაკუთრებული ვითარების ან მოვლენების ან მსგავსი უკვე არსებული ვითარების ან მოვლენების შემთხვევაში, რომლებიც არ ექვემდებარება გოეთე-ინსტიტუტის გავლენის სფეროს (მაგ. არეულობები, საომარი ან ტერორისტული მოქმედებები, სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები და ა.შ.) ვიტოვებთ ჩვენი მომსახურების ცვლილებების შეთავაზების უფლებას (მაგ., დროისა და ადგილმდებარეობის თვალსაზრისით). დროისა და ადგილმდებარეობის თვალსაზრისით). მოცემულ შემთხვევაში, გაგაცნობთ დროში შეზღუდულ ახალ შეთავაზებას და მოგმართავთ თხოვნით შეგვატყობინოთ, გსურთ თუ არა შეცვლილი მომსახურების მიღება თუ რჩევთ ხელშეკრულებიდან გასვლას. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, უკან დაგიბრუნდებათ გადახდილი თანხა (შესაბამის შემთხვევაში, თანხის ნაწილი, მომსახურების მოწოდების ეტაპის შესაბამისად).

მომხმარებლისათვის მოქმედებს შემდეგი: პ. 8 (c) დებულებები ვრცელდება ციფრული პროდუქტების ცვლილებებზე.

7. საქონლის შეძენის განსაკუთრებული პირობები

a. მიწოდების პირობები

მიწოდება ხდება მხოლოდ გაგზავნით. შეძენილი საქონლის პირადად გამოტანა შეუძლებელია.

b. საკუთრების უფლება

ფასის საბოლოოდ დაფარვამდე საქონელი ჩვენს საკუთრებად რჩება.

c. ტრანსპორტირებით გამოწვეული ზიანი

თუ საქონელი მიწოდებულია ტრანსპორტირების აშკარა დაზიანებებით, გთხოვთ, წარუდგინოთ პრეტენზია გადაზიდვის კომპანიას რაც შეიძლება მალე და დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდით. პრეტენზიის განუცხადებლობას ან ჩვენთან დაუკავშირებლობას ზეგავლენა არა აქვს თქვენს კანონიერ უფლებებზე და მათ გამოყენებაზე, განსაკუთრებით გარანტიის შემთხვევაში. მაგრამ თქვენ ამით დაგვეხმარებით, რომ წავუყენოთ ჩვენი მოთხოვნები ტვირთების გადამზიდველს და, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო დაზღვევას.

8. სპეციალური პირობები ციფრული პროდუქტებისთვის

თუ გოეთეს ინსტიტუტის პროდუქტები შემოთავაზებულია ციფრული პროდუქტების სახით, მაშინ კერძოდ გამოიყენება შემდეგი დებულებები.

a. გამოყენების უფლებები და საავტორო უფლებები

ციფრული პროდუქტების შემთხვევაში გამოყენების უფლებები დროში შეზღუდულია შესაბამისი ხელშეკრულების ხანგრძლივობით. გამოყენების ზემოაღნიშნული უფლებები ასევე ვრცელდება ჩვენი ციფრული პროდუქტების შემდგომ ვერსიებზე (განახლებები და მოდერნიზაციები), რომლებსაც ჩვენ გთავაზობთ ჩვენი მიმდინარე სერვისების ნაცვლად. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, მე-6 g. პუნქტის დებულებები გამოიყენება შესაბამისად.

b. პროდუქტის აღწერილობანი

დანარჩენი დეტალები იხილეთ პროდუქტის აღწერილობაში.

c. ციფრული საქონლის ცვლილება სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

მომხმარებლისათვის მოქმედებს შემდეგი: მუდმივი მიწოდების შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება შევიტანოთ ცვლილებები ციფრულ პროდუქტში იმაზე მეტად, რაც აუცილებელია კონტრაქტის შესანარჩუნებლად,

- თუ

  ამის საპატიო მიზეზი არსებობს,

- ცვლილების შედეგად დამატებით ხარჯებს არ გაწევთ და
- ჩვენ ნათლად და გასაგებად გაცნობებთ ცვლილებების შესახებ.

ამ თვალსაზრისით საპატიო მიზეზად მიიჩნევა შემთხვევები, როდესაც ცვლილება აუცილებელია ციფრული პროდუქტის ახალტექნიკურ გარემოსთან ადაპტაციისთვის ან მომხმარებელთა რაოდენობის გასაზრდელად, ან როცა ეს

აუცილებელია სხვა მნიშვნელოვანი საექსპლუატაციო მიზეზების გამო.

9. შეკვეთის გაუქმების უფლება

მომხმარებლებს აქვთ კანონით დადგენილი უფლება გაუქმებაზე, როგორც ეს აღწერილია გაუქმების ინსტრუქციებში. მეწარმეებს არ ენიჭებათ გასვლის ნებაყოფლობითი უფლება.

10. გარანტია

ძალაშია კანონიერი გარანტიის უფლება

11. პასუხისმგებლობა საკუთარ შინაარსზე

რამდენადაც თქვენ საკუთარ შინაარსს ხელმისაწვდომს ან/და საჯაროს გახდით გოეთეს ინსტიტუტის სერვისების გამოყენებით, ამაზე მხოლოდ თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა. თქვენ იძლევით გარანტიას, რომ ყველა უფლება ამ შინაარსზე თქვენია, და აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ მოწოდებული შინაარსი არ არღვევს მესამე მხარის უფლებებს, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით, საავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები, დამატებითი საავტორო უფლებები, სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, საკუთრების უფლებები ან პირადი ცხოვრების უფლებები.

გარდა ამისა, მოწოდებული შინაარსი არ შეიძლება არღვევდეს კანონს, კერძოდ, იყოს რასისტული, ქსენოფობიური, ძალადობის განმთქმელი, სექსისტური ან სხვაგვარად ამორალური ან არაკონსტიტუციური ხასიათის, ან ასეთი მიზნების მიმდევარი.

12. პასუხისმგებლობის შეზღუდვა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

a. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

მიყენებულზარალს ვანაზღაურებთშეუზღუდავად, თუ ის გამოწვეულია ჩვენს მიერ, ჩვენი კანონიერი წარმომადგენლის ამ დამხმარე პერსონალის მიერ

- სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში
- პასუხიმგებლობის განზრახ ან უხეში დაუდევრობით დარღვევისას
- საგარანტიო პირობის, თუ შეთანხმებულია
- მომხმარებლის წინაშე.

ხელშეკრულების ძირითადი მოვალეობების დარღვევისას, რომელთა დაცვა აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად, და რომელთა დაცვის იმედი ხელშეკრულების პარტნიორს მუდმივად უნდა ჰქონდეს (კარდინალური მოვალეობები), თუ ისინი გამოწვეული იქნება ჩვენი კანონიერი წარმომადგენლების ან დამხმარე პერსონალის მიერ ჩადენილი მსუბუქი დაუდევრობით, ჩვენ დაწესებულებების მიმართ ვიღებთ პასუხისმგებლობას იმ ზომით, რომელიც მოსალოდნელი იყო ხელშეკრულების დადების მომენტში.

სხვა დანარჩენ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება გამორიცხულია.

b. ზიანის ანაზღაურება

თქვენ გვათავისუფლებთ ნებისმიერი პრეტენზიისაგან, რომელიც შესაძლოა იქონიონ მესამე მხარეები ჩვენ მიმართ თქვენ მიერ კანონის ან ვალდებულების დარღვევის გამო

- კურსებში ან/და გამოცდებში მონაწილეობისას, მათ შორის ციფრული პროდუქტების გამოყენება ზწპ-ის მე-8 ნაწილის შესაბამისად
- საკუთარი შინაარსის წარდგენა ზწპ-ის მე-11 ნაწილის შესაბამისად

მხოლოდ თუ არ ხართ პასუხიმგებელი თქვენი ვალდებულებების დარღვევაზე. თქვენ უნდა აგვინაზღაუროთ საჭირო სამართლებრივი დაცვის ხარჯები, მათ შორის სასამართლო ხარჯები და ადვოკატთა ჰონორარები მტკიცებულებებისთვის. ნებისმიერი შემდგომი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ უცვლელი რჩება.

იგივე ეხება საბავშვო და ახალგაზრდულ კურსებს, იმდენად, რამდენადაც არის ჩადენილი კანონის ან მოვალეობის დარღვევა თქვენი შვილის მიერ.

13. უთანხმოების მოგვარება

ევროკომისია გთავაზობთ ონლაინ-პლატფორმას უთანხმოების მოგვარებისთვის (ოუ), რომელიც შეგიძლიათ ნახოთ აქ http://ec.europa.eu/consumers/odr/. მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ ეს პლატფორმა უთანხმოებების მოსაგვარებლად.

ჩვენ ასევე ვართმზად, მონაწილეობა მივიღოთ მომხმარებელთა ინტერესების დამცველი დაწესებულების არასასამართლო დავის მოგვარების პროცესში. ამ საკითხს განაგებს ფედერაციის უნივერსალური დავის მოგვარების დაწესებულება e.V., Straßburger Straße 8, 77694 Kehl am Rhein, გერმანია www.verbraucher-schlichter.de.

შეკვეთის გაუქმების უფლება და ფორმულარები

მომხმარებლისათვის ძალაშია შემდეგი:

a. კურსებისთვის, გამოცდებისთვის და სხვა სერვისებისთვის.

შეკვეთის გაუქმების უფლება

თქვენ უფლება გაქვთ, თოთხმეტი დღის განმავლობაში მიზეზის გარეშე გააუქმოთ ხელშეკრულება. უპირობოდ გაუქმების ვადაა თოთხმეტი დღე ხელშეკრულების დადებიდან.

შეკვეთის გაუქმების უფლების გამოსაყენებლად, უნდა მოგვმართოთ ჩვენ (Goethe-Institut e.V., Kundenbetreuung, Oskar-von-Miller-Ring 18, 80333 München, Deutschland ან widerruf@goethe.de ან ტელ. +49 89 15921-0) ერთმნიშვნელოვანი განაცხადით (მაგ., წერილი ფიზიკური ან ელექტრონული ფოსტით) და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება, ამ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თანდართული გაუქმების ფორმულარის ნიმუში, თუმცა ამ ნიმუშის გამოიყენება სავალდებულო არაა.

ხელშეკრულების გაუქმების უფლების ვადის დასაცავად საკმარისია, თუ თქვენ ვადის გასვლამდე გამოგვიგზავნით შეტყობინებას, რომ იყენებთ ხელშეკრულების გაუქმების უფლებას.

ხელშეკრულების გაუქმების შედეგები

თუ თქვენ ხელშეკრულებას დროულად გააუქმებთ, ჩვენ უკან დაგიბრუნებთ ყველა თანხას, რომელიც მივიღეთ თქვენგან, ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით, კერძოდ შვიდი დღის განმავლობაში თქვენი შეწყვეტის განაცხადის ჩვენთან შემოსვლის დღიდან. ფულის უკან დასაბრუნებლად ჩვენ მივმართავთ იმავე გადახდის საშუალებას, რომელიც თქვენ გამოიყენეთ თავდაპირველად გადახდის მომენტში, თუ თქვენთან სხვა რამ არ იყო შეთანხმებული; ჩვენ არასოდეს მოვითხოვთ უკან დასაბრუნებელი თანხის ტრანსაქციის გადასახადს.

გაუქმების ფორმულარის ნიმუში

(თუ გსურთ ხელშეკრულების გაუქმება, გთხოვთ შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ ეს ფორმულარი)

–გოეთეს ინსტიტუტი რ.გ., კლიენტების მომსახურება, ოსკარ-ფონ-მილერ-რინგ 18, 80333 მიუნხენი, გერმანია, ან მოგვმართოთ მისამართზე widerruf@goethe.de, ან ტელეფონით +49 89 15921--0

– ამით მე/ჩვენ (*) ვაუქმებ(თ) ჩემთან/ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას შემდეგი საქონლის (*) შესყიდვის/შემდეგი მომსახურების (*) მიღების თაობაზე.

– შეკვეთილია თარიღი (*)/მიღებულია თარიღი (*)

– მომხმარებლის სახელი

– მომხმარებლის მისამართი

– მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ლ ი ს ხ ე ლ მ ო წ ე რ ა (მ ხ ო ლ ო დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ფ ო რ მ ი ს ა თ ვ ი ს)

– თ ა რ ი ღ ი

(*) ა რ ა ს ა თ ა ნ ა დ ო გ ა დ ა შ ა ლ ე თ

b. საქონლის შეძენისას

შეკვეთის გაუქმების უფლება

თქვენ უფლება გაქვთ, თოთხმეტი დღის განმავლობაში მიზეზის გარეშე გააუქმოთ ხელშეკრულება. ხელშეკრულების უპირობოდ გაუქმების ვადა თოთხმეტი დღე მას შემდეგ, რაც თქვენ ან თქვენს მიერ დასახელებულმა მესამე პირმა, რომელიც მომტანი არ არის, მიიღო საქონლის ბოლო გზავნილი.

რათა გამოიყენოთ შეკვეთის გაუქმების უფლება, უნდა მოგვმართოთ ჩვენ (Goethe-Institut e.V., Kundenbetreuung, Oskar-von-Miller-Ring 18, 80333 München, Deutschland ან widerruf@goethe.de ან ტელ. +49 89 15921-0) ერთმნიშვნელოვანი განაცხადით (მაგ., წერილი ფიზიკური ან ელექტრონული ფოსტით) და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება, ამ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თან დართული გაუქმების ფორმულარის ნიმუში, თუმცა ამ ნიმუშის გამოიყენება სავალდებულო არაა.

ხელშეკრულების გაუქმების უფლების ვადის დასაცავად საკმარისია, თუ თქვენ ვადის გასვლამდე გამოგვიგზავნით შეტყობინებას, რომ იყენებთ ხელშეკრულების გაუქმების უფლებას.

ხელშეკრულების გაუქმების შედეგები

თუ თქვენ ხელშეკრულებას დროულად გააუქმებთ, ჩვენ უკან დაგიბრუნებთ ყველა თანხას, რომელიც მივიღეთ თქვენგან, ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით, კერძოდ შვიდი დღის განმავლობაში თქვენი შეწყვეტის განაცხადის ჩვენთან შემოსვლის დღიდან. ფულის უკან დასაბრუნებლად ჩვენ მივმართავთ იმავე გადახდის საშუალებას, რომელიც თქვენ გამოიყენეთ თავდაპირველად გადახდის მომენტში, თუ თქვენთან სხვა რამ არ იყო შეთანხმებული; ჩვენ არასოდეს მოვითხოვთ უკან დასაბრუნებელი თანხის ტრანსაქციის გადასახადს. ჩვენ შეგვიძლია უარი ვქვათ თანხის უკან დაბრუნებაზე, სანამ ჩვენ სრულყოფილად არ დაგვიბრუნებთ საქონელს, ან სანამ არ მოგვაწვდითსაბუთს, რომ საქონელი გამოგზავნილია, იმის მიხედვით, თუ რომელი პირობა უფრო მალე შესრულდა.

თქვენ საქონელი გამოგვიგზავნეთან გადმოგვეცით ჩვენ ან ნიდერმაიერ შპედიციონ გმბჰ ფურმანშტრ. 10 94405 ლანდაუ-ან-დერ-იზარზე, გერმანია ექვემდებარება დაბრუნებას ან გადაცემას. თქვენ უნდა დაფაროთ ნებისმიერი საქონლის ღირებულების დაკარგვა მხოლოდ მაშინ, თუ ეს ღირებულების დაკარგვა გამოწვეულია საქონელთან მოპყრობით, რომელიც არარის აუცილებელი საქონლის ხარისხის, თვისებებისა და ფუნქციონირების შესამოწმებლად.

გაუქმების ფორმულარის ნიმუში

(თუ გსურთ ხელშეკრულების გაუქმება, გთხოვთ შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ ეს ფორმულარი)

–გოეთეს ინსტიტუტი რ.გ., კლიენტების მომსახურება, ოსკარ-ფონ-მილერ-რინგ 18, 80333 მიუნხენი, გერმანია, ან მოგვმართოთ მისამართზე widerruf@goethe.de, ან ტელეფონით +49 89 15921--0

- ამითმე/ჩვენ (*)ვაუქმეზ(თ)ჩემთან/ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას შემდეგი საქონლის (*)შესყიდვის/შემდეგი მომსახურების (*)მიღების თაობაზე.
- შეკვეთილია თარიღი (*)/მიღებულია თარიღი (*)
- მომხმარებლის სახელი
- მომხმარებლის მისამართი
- მომხმარებლის ხელმოწერა (მხოლოდ წერილობითი ფორმისათვის)
- თარიღი

(*) არასათანადოგადაშალეთ.